ოქმი:**ო31.31222351**
თარიღი:**23/08/2022**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ოქმი №9**

ქ. ლანჩხუთი

15. 08. 2022 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა ჯანაშია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირმა მგელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს:

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. **„**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-II კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 29 აგვისტო, 12:00 საათი.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგ პროექტებზე; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაციაზე 1300000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 68422 ლარი, სულ მიმდინარე წელს პროექტზე მიიმართება 1368422 ლარი, ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის საძირკვლის გამაგრებაზე 254000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებაზე 400160 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 654160 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 496000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 239465 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 735465 ლარი.

სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაციაზე მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 13650 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15080 ლარი, სულ პროექტის ღირებულება 28730 ლარი. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება გაიზარდოს 2700 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მომართვის საფუძველზე გაიზარდოს დაფინანსება 15000 ლარით.

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა- შენახვის და ექსპლუატაციის ხარჯების (საწვავ-საპოხი მასალების ფასების ზრდის გათვალისწინებით) დაფინანსება გაიზარდოს 78400 ლარით, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება გაიზარდოს 35000 ლარით, მერიის დაფინანსება გაიზარდოს 40000 ლარით, მერიის სამხედრო სამსახურის დაფინანსება გაიზარდოს 3400 ლარით.

გარე განათების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით გაიზარდოს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება 136373 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართული თანხების და მიმდინარე ხარჯების ზრდის დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების 770600 ლარი და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების 185000 ლარის ზრდის ხარჯზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 1 300000 ლარი, ამიტომ არ არის წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული აკეთი. ამასთან დაკავშირებით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განუმარტა, რომ საკითხი განხილული იქნა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად, რის მიხედვითაც გადაწყდა ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების მოწესრიგება. საერთო ჯამში, დადგენილების განსახილველ პროექტში შესულია მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი და მთავრობის მიერ მიღებული პროექტები.

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ტენდერი გამოცხადებულია 4 916000 ლარის ფარგლებში. ამასთან, აკეთში უკვე დაგებულია 1 კმ. სიგრძის გზა, რაც იძლევა გარკვეულ ფინანსურ ეკონომიას, რომლის ხარჯზე და ასევე, პროექტიდან მიღებული ეკონომიის გათვალისწინებით, შესაძლებელია უკვე გაკეთებული გზა შეუერთდეს ბეტონის გზას ჩაის ფაბრიკის ტერიტორიისკენ ან სკოლის მიმართულებით გზას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება –

დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4 . მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა (კანცელარიის N 10/302220115-30; 20.07.2022 წელი) ა(ა)იპ „ოდა ქეარი“-ს (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა -ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე ( N8 – 47.00 კვ.მ; N9 – 51,90კვ.მ; N10 – 12,23 კვმ; N11 – 16,03 კვ.მ. N12 – 18,92 კვ.მ; N13 – 12,21 კვ.მ; N14- 13,36 კვ.მ; N15 – 5,50 კვ.მ N16 – 6,71 კვ.მ. N17 – 13,05 კვ.მ; N26- 18,25 კვ.მ და N27 - 26,59 კვ.მ. საერთო ფართით 241,75 კვ.მ.) ფართის გამოყოფა ორგანიზაციის ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ( ა(ა)იპ „ოდა ქეარი“ არსებობს 2019 წლიდან. მისი მიზნები და ამოცანებია: 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიცირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების დამკვიდრების ხელშეწყობა. 4.ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5.სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება.)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 241,75 კვ.მ ფართი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**1.**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ

,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძემ (26001004991), რომელმაც კომერციული მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე მდებარე N1 ოთახი - 25,7 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოქალაქე კონსტანტინე გუმბარიძეს, 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. აღნიშნულმა სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის

უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის დაანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო

საფასურიდან 7080.35 ლარიდან განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 354 ლარს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ[NS1] გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მე-II კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 01 ივლისის მდგომარეობით მობილიზებულია შემოსავლები 9750700 ლარი, აქედან გადასახადების სახით 5140300 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ჩამორიცხულია 3199600 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1288400 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) 140000 ლარი.

შესაბამისი პერიოდისათვის გაწეულია 7808500 ლარის ხარჯი, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3050700 ლარი, (გაწეული ხარჯების 39,1 %-ი) საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 3154200 ლარი, (გაწეული ხარჯების 40,4%-ი) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდის და ურნების შეძენის მიზნით აღებული სესხი დაიფარა 44200 ლარით, მათ შორის-

პროცენტი 15200 ლარი. სუბსიდირებით შ.პ.ს-ების დაფინანსებაზე მიიმართა 500800 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 727100 ლარი, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 89900 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან 637200 ლარი.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5312,3 ათას ლარს, მათ შორის: განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2282,8 ათას ლარს, საიდანაც 1935,0 ათასი ლარი მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე, მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2022 წლის ბიუჯეტში 3094.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 12151,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16392,6 ათ ლარი) 74,1 %-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 3899,5 ათასი ლარით, ხოლო 2020 წლის -4,403,6 ათასი ლარით.

2022 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2056.9 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (2168.6 ათ ლარი) 94,9 %-ია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -574.1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1362.3 ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-94.4 ათ ლარი;

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 35.3 ათ ლარი;

სარეზერვო ფონდიდან 2022 წლის II კვარტალში გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 35335.08 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3739.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 60.4 %-ია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 772.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.6 %-ია. გამოყოფილი სახსრებიდან 693.5 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა- პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 74.2 ათასი ლარით, ხოლო უპატრონო ცხოველების მოვლით ღონისძიებებს მოხმარდა 4,9 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1902.5 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 83.7 %-ია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1384.2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 480.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,5 %-ია.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2031,3 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2174,6 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 93,4 %. აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 833,8 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1183,6 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 14,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 435,0 ათასი ლარით - 82,2 %-ით, მათ შორის საზოგადოებრივი

ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 81,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 353,5 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიში.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივლისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1571888,82 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1571888,82 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1168140,452 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 58,6 %-ს; დღგ-მ შეადგინა 850230,96 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 60,2 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 9399,96 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 1925,59 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 31465,59 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 178439,122 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია ლარი; 16575 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 5165,27 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 2757,7 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 145747,022 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივლისის თვეში შემოსულობებმა 2740029,272 ლარი შეადგინა, ხოლო განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 15027208,7 ლარი. ივლისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3653230 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1336763 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3667514 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 488566 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 5874379ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიში სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ.** მან აღნიშნა, რომ ,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საკრებულოს ინფორმირებულობის თვალსაზრისით, წარმოდგენილია 2022 წლის 21 მარტს მომზადებული შიდა აუდიტორულ ანგარიში (შესაბამისობის აუდიტი), რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებითა და წესდებით გათვალისწინებულ და განხორციელებულ საქმიანობას. მასში ძირითადად წარმოდგენილია რეკომენდაციები აღმოჩენილ ცდომილებებთან თუ დარღვევებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება იმის შემოწმება, თუ როგორ ხორციელდება გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

ბიუროს წევრების მიერ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორულ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**ცნობად იქნას მიღებული ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების შიდა აუდიტორული ანგარიში.**

**სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ირმა მგელაძემ** ყურადღება გაამახვილა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსარგებლეებია ბენეფიციარები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი. მისი აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, რადგან აღნიშნულ პროგრამაში ვერ ერთვება სახელმწიფო მინდობით აღზრდაზე მყოფი ბავშვები. კერძოდ, რამდენიმე ბავშვი, რომელიც დღეის მდგომარეობით, ოღონდ 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ, უკვე არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული, მაგრამ ვერ იღებს აღნიშნულ სერვისს. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ჩანაწერის გაუქმება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე იმსჯელეს მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად, მაგრამ პროგრამით სარგებლობა უკვე დაწყებული იყო, ამიტომ აქცენტი გაკეთდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ და რეგისტრირებულ ბავშვებთან მიმართებაში, რადგან იყო შემთხვევა, როცა სხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობელი აპირებდა ბავშვის ამოწერას თავისი მუნიციპალიტეტიდან და ლანჩხუთში დარეგისტირირებას, თუკი მოხდებოდა მისი შვილისთვის აღნიშნული სერვისის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ შეიძლება მოფიქრებული იქნას რაიმე დამატებითი ბერკეტი, რომლის საფუძველზეც საკრებულოს ჩართულობით მოხდება კონკრეტული ჩანაწერის შესწორება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, სარგებლობა შეუძლიათ ბენეფიციარებს, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, ხოლო ვინც შემდეგ დაემატება, ამის შეზღუდვას კონკრეტული დადგენილების საფუძველზე ნამდვილად ვერ ხედავს. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სწორედ კონკრეტული ჩანაწერის საბაბად გამოყენების შედეგად ბენეფიციარმა პასუხად მიიღო ის, რომ რადგან რეგისტრირებული არ იყო, მისი დამატება ვერ მოხდებოდა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, დახმარება ყველას უნდა გაეწიოს, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ფინანსური რესურსი. სწორედ აქედან გამომდინარე, თავის დაზღვევის მიზნით, რათა პროგრამაში სხვა მუნიციპალიტეტის ბავშვები არ ჩართულიყო, მოხდა ასეთი ჩანაწერის გაკეთება და ეს დისკრიმინაციული კუთხით ნამდვილად არ ყოფილა გათვლილი. ზოგადად თანხმდებიან, რომ ჩანაწერში რაღაც ორაზროვანი ნამდვილად არის, რაზეც თავის დროზე მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურთან ერთად იმსჯელეს. ჩანაწერი უნდა შეიცვალოს, რადგან მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვს გარკვეულწილად არ შეექმნას პრობლემა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** აზრით, უნდა გაკეთდეს კონკრეტული ჩანაწერი, რათა მინდობით აღზრდაში მყოფმა ბავშვებმა შეძლონ აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა და ამ კუთხით არ შეექმნათ რაიმე დაბრკოლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დადგნენ ისეთი პრობლემის წინაშე, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა. კოლეგას თავის მხრივ დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** და აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის, რომ მინდობით აღზრდაში მყოფმა ბავშვებმა შეძლონ ამ სერვისით სარგებლობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ირმა მგელაძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თუ შესაძლებელია, პირველი ეტაპისთვის მოხდეს ტექსტობრივი ჩასწორება, რასაც შემდგომ მოჰყვება ფინანსური გათვლა, რათა წლის ბოლომდე დარჩენილ თვეებში შეძლონ ამ ბავშვებმა აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ გასულ დღეებში განახორციელა უფასო სასადილოს მონიტორინგი, რის შედეგადაც ძალიან კმაყოფილი დარჩა იქ შექმნილი სიტუაციის გამო. პიროვნება, რომელმაც მოიგო ტენდერი, ძალიან კარგად და პასუხისმგებლობით უძღვება ყველაფერს. სასადილოში არის სუფთა გარემო და კერძებიც საკმაოდ გემრიელია, მაგრამ არის რამდენიმე პრობლემა, რომლის მოგვარებაც სრულიად შესაძლებელია. კერძოდ, სასადილოს წინ არის ნაძვის ხე, რომელიც წაქცევის შემთხვევაში დააზიანებს შენობას. ამიტომ მეპატრონეს უნდა მიეცეს ხის მოჭრის უფლება, რადგანაც მანამდე ერთი ნაძვის ხე წაიქცა და დაეცა სასადილოს. ამ ადამიანმა თავის დროზე მომართა მერიას აღნიშნული ხეების მოჭრის თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ბიუროს წევრის აზრით, რადგან სასადილო ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამას და ემსახურება ბენეფიციარებს, ამიტომ ამ საკითხს გარკვეული მიდგომა ჭირდება. მეორე პრობლემა შეეხება იმას, რომ მიმდინარე წლის იანვრის თვის შემდეგ პროდუქტებზე ფასები რამდენჯერმე არის გაზრდილი. ამის გათვალისწინებით, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს არ მიჩნია მართებულად ის, რომ ხელშეკრულება საშუალებას იძლევა უფასო სასადილოს დაემატოს თანხა 10 %-ის ფარგლებში, მაგრამ ეს არ ხორციელდება. სასადილოს მეპატრონის განცხადებით მართალია, რომ მის მიერ მიმდინარე წელს არ ყოფილა ამასთან დაკავშირებით მოთხოვნა, რადგან გასულ წელს დამატებული თანხა მუნიციპალიტეტის მერიამ ისევ უკან წაიღო. ამის შემდეგ, საკრებულოს ბიუროს წევრმა ყურადღება გაამახვილა უფასო სასადილოს მიერ ბენეფიციარებისთვის საკვების ბინაზე მიტანის სერვისთან დაკავშირებით და

აღნიშნა, რომ რა თანხაც ესაჭიროება ერთი ადამიანის კვებას, დაახლოებით ორჯერ მეტი იხარჯება ტრანსპორტირებაზე. აქედან გამომდინარე, გარკვეული მიდგომაა შესამუშავებელი, რათა საკითხი მეტნაკლებად დარეგულირდეს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ პიროვნებამ ნამდვილად არაერთხელ მომართა ნაძვის ხეების მოჭრის თხოვნით, მაგრამ საუბარი არ არის ერთ ხეზე, რადგან ისინი აღნიშნული ქუჩის მთელ გაყოლებაზეა დარგული. ამასთან, კონკრეტული ნაძვის ხე იყო ჯანსაღი და არა გამხმარი. აქედან გამომდინარე, არ იქნა მიღებული მისი მოჭრის გადაწყვეტილება, რადგან ამ შემთხვევაში სხვებიც მოითხოვდნენ და ფაქტობრივად, აღნიშნულ ქუჩაზე უნდა მომხდარიყო ნაძვის ხეების მასიური გაჩეხვა. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, თუკი შესაბამისი სტრუქტურებიდან იქნება თანხმობა და ასევე, მუნიციპალიტეტიც მიიღებს ხეების მოჭრის გადაწყვეტილებას, ამის წინააღმდეგ ნამდვილად არ წავა. ასევე მართალია, რომ ხის წაქცევის შედეგად გარკვეულად დაზიანდა სასადილოს შენობა, მაგრამ მეპატრონეს უფლება მიეცა იგი გამოეყენებინა სამასალედ და აღედგინა დაზიანებული სახურავი. სასადილოსთვის ფინანსების დამატებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამის შესახებ მიმდინარე წელს მომართვა არ შემოსულა. რაც შეეხება გასულ წელს გამოყოფილი თანხის უკან წაღებას, ეს მოხდებოდა იქიდან გამომდინარე, რომ იგი არ იქნებოდა სრულად ათვისებული. მისი თქმით, თუკი ამ ადამიანის მხრიდან იქნება მოთხოვნა, მუნიციპალიტეტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და თანხის 10 %-იან მატებასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნება. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ნამდვილად მადლობის ღირსია ეს პიროვნება, რადგან უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისის გამართულად ფუნქციონირებას და ბენეფიციარებიც სასადილოს მომსახურებით კმაყოფილები არიან. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერი შეეხო საკვების ბინაზე მიტანის სერვისს, რასთან მიმართებაში სრულიად ეთანხმება საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის განხილვის დროს აღნიშნულ თემასთან მიმართებაში გამოთქვა თავისი მოსაზრება. კერძოდ, არ მოხდეს პროგრამაში ახალი ბენეფიციარების ჩართვა, რადგან ტრანსპორტირების ხარჯი რამდენჯერმე მეტია, ვიდრე მიტანილი საკვების. სამომავლოდ, რესურსიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ გაკეთდეს ახალი პროგრამა, რომელსაც ,,შინ მოვლის პროგრამა“ ან მსგავსი სახელი დაერქმევა. ანალოგიური პროგრამები უკვე მოქმედებს რამდენიმე და მათ შორის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** და საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდნენ, დაიწყო თუ არა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის და პრიორიტეტების დოკუმენტებზე შიდა სამუშაოებები და ჩართულია თუ არა პროცესში დეპუტატები, რადგან მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისთვის პრიორიტეტებთან დაკავშირებით განაცხადის შეტანის ვადები იწურება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის **ალექსანდრე მახათაძის** განმარტებით, პირველი მარტიდან მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად იწყება სამუშაო პროცესი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, რა ხდება ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ,,მხედრები“ დაკავშირებით, რადგან, როგორც მისთვისაა ცნობილი ანსამბლის რეპეტიციები

აღარ ტარდება. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ანსამბლი არ გაუქმებულა. ეს იყო ცხრა მოცეკვავისგან შემდგარი ანსამბლი, რომელთაც უხდიდნენ ხელფასს. აქედან, რამდენიმე საერთოდ არ დადიოდა, ორი ადამიანი იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. სამი წევრი თვითონ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაშია დასაქმებული. პანდემიის პერიოდში კი საერთოდ არ უმუშავიათ. ანსამბლს, შეთავაზების მიუხედავად, ბავშვების არ ყოლის გამო, მონაწილეობა არ მიუღია საახალწლო და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოცეკვავეებს ხელფასს ვეღარ გადაუხდიდნენ და არა ის, რომ ანსამბლი გაუქმებულიყო. რაც შეეხება ბავშვებს, მუნიციპალიტეტის მიერ ყველა პედაგოგის საქმიანობა იქნება ანაზღაურებადი, მაგრამ მათ უნდა ჩამოაყალიბონ ჯგუფები და აღზარდონ მომავალი თაობა. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ფორმებით და საჭიროებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ყოველთვის დაუდგება გვერდით. იმის შესახებ კი, თუ რომელ ქორეოგრაფთან მიიყვანოს ბავშვი, მშობელი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, არავის წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ მუნიციპალიტეტის ანსამბლები დაკომპლექტებული უნდა იყოს ადგილობრივი წევრებით. ყოველივე ამის შესახებ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზეც ისაუბრა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივ ახალგაზრდებს აინტერესებთ, მიმდინარე წელს მაინც თუ დასრულდება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონის მოწყობა, რადგან ეს საკითხი აგერ უკვე რამდენი წელია, მოუგვარებელია. გარდა ამისა, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობა უწყლობის გამო გაუსაძლის პირობებში იმყოფება. საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ ასევე ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობა დარჩენილია წყლის და ბუნებრივი აირის გარეშე.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, 2015 წელს დაიწყო აღნიშნული სტადიონის მოწყობა, რომელიც შემოიღობა და დარჩენილი იყო მცირე სამუშაოები. რაც შეეხება გაზიფიცირების პრობლემას, მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე თექვსმეტივე სოფელთან დაკავშირებით გამოცხადდება ტენდერები, რითაც მუნიციპალიტეტში საბოლოოდ დასრულდება ეს პროცესი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **გოჩა ჯანაშიას** აზრით, კარგი იქნება გაზიფიცირების პროცესის დასრულების შემდეგ მოითხოვონ მუნიციპალიტეტში შესაბამისი სამსახურის ფუნქციონირება, რადგან ამ ეტაპისთვის აბონენტების მომსახურება გადანაწილებულია ფოთის და ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტის მერი დაეთანხმა საკრებულოს ფრაქციის ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს და აღნიშნა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და უნდა იმუშაონ ამ კუთხით, მით უმეტეს, რომ ადამიანები დასაქმდებიან. ამასთან, პასუხისმგებლობა და მომსახურების ხარისხიც ამაღლდება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ემზარ თევდორაძის** აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ ლანჩხუთის რკინიგზის სადგურში თუნდაც ორი წუთით, გაჩერდება ჩქაროსნული მატარებელი. ბიუროს წევრებმა თავის მხრივ უკმაყოფილება გამოთქვეს, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსაწესრიგებელია

თვითონ რკინიგზის შენობა.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მერის მოადგილეს, თორნიკე ტიკაძეს დაევალა წერილის მომზადება რკინიგზის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული რამდენიმე რკინიგზის სადგურის შენობის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ: ნიგოითის ორი, ჩიბათის, ლესის და ლანჩხუთის რკინიგზის სადგურების.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან კარგი და მისასალმებელია ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობა, რამაც გაალამაზა და დაამშვენა ქალაქი. ასევე უნდა მოწესრიგდეს ლანჩხუთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე სკვერი.

**ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი